ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა

ბრუნო ლატური

არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები

სიმეტრიული ანთროპოლოგიის მცდელობა

ფრანგულიდან თარგმნა ელენე ლადარიამ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2014

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა ISSN 1512-2042

სერიის რედაქტორი: **თამარ ცოფურაშვილი**

სერიის I წიგნი

NOUS N'AVONS JAMAIS ÉTÉ MODERNES:
essai d'anthropologie symétrique.
Bruno Latour

არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები
სიმეტრიული ანთროპოლოგიის მცდელობა
ბრუნო ლატური

ფრანგულიდან თარგმნა, ყდის დიზაინი და
ილუსტრაციები მოამზადა ***ელენე ლადარიამ***

სამეცნიერო რედაქტორი: **ნინო ფირცხალავა**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ქეთევან ღონღაძე**

© Éditions La Découverte, Paris, 1991.
© Éditions La Découverte & Syros, Paris, 1997.

ქართულ ენაზე თარგმანის გამოცემისა და გაყიდვის ექსკლუზიური
უფლება ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით.

ISBN 978-9941-18-198-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

1. კრიზისი 1
ჰიბრიდების გამრავლება და გავრცელება 1
გორდიას კვანძის ხელახლა გადასკვნა 4
კრიტიკის კრიზისი 8
სასწაულებრივი 1989 წელი 11
ვინ არის მოდერნული? 14

2. კონსტიტუცია 18
მოდერნული კონსტიტუცია 18
ბოილი და მისი ობიექტები 21
ჰობსი და მისი სუბიექტები 25
ლაბორატორიის გაშუალება 29
არაადამიანები ჩვენებას იძლევიან 32
ლაბორატორიისა და ლევიათანის ორმაგი ხელქმნილება 35
მეცნიერული წარმომადგენლობა და პოლიტიკური წარმომადგენლობა 39
მოდერნულთა კონსტიტუციური გარანტიები 42
გადახაზული ღმერთი – მეოთხე გარანტია 47
კრიტიკის ძლიერება 50
მოდერნულთა უძლეველობა 54
რას ააშკარავებს და რას ჩრდილავს კონსტიტუცია 57
მხილების დასასრული 61
არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები 66

3. რევოლუცია 70
საკუთარი წარმატების მსხვერპლად ქცეული მოდერნულები 70
მოდერნიზატორულ ფილოსოფიათა შპაგატი 74
დასასრულთა დასასრული 78
სემიოტიკური შემობრუნებები 83
ვინ დაივიწყა ყოფიერება? 87
დასაწყისი დროისა, რომელიც გადის 90

რევოლუციური საოცრება 94
გარდასული წარსულის დასასრული 97
დახარისხება და მრავლობითი დრო 101
კოპერნიკისეული კონტრრევოლუცია 104
შუამავლებიდან მედიატორებამდე 108
ნივთი-თავისთავადობიდან ეჭვმიტანილობამდე 112
ცვალებადი გეომეტრიის მქონე ონტოლოგიები 117
ოთხი მოდერნული ნუსხის შეკავშირება 121

4. რელატივიზმი 126
როგორ მოვუღოთ ბოლო ასიმეტრიას? 126
გენერალიზებული სიმეტრიის პრინციპი 130
ორი დიდი გაყოფის იმპორტი და ექსპორტი 134
ანთროპოლოგია ტროპიკებიდან ბრუნდება 139
კულტურები არ არსებობს 142
ზომაში განსხვავებები 147
არქიმედესეული გადატრიალება 151
აბსოლუტური რელატივიზმი და რელატივისტური
რელატივიზმი 154
სამყაროს განჯადოებასთან დაკავშირებული მცირე
შეცდომები 158
გრძელი ქსელიც კი ლოკალურია ყოველ წერტილში 162
ლევიათანი ქსელების გორგალია 167
საამური კიდეები 171
უკვე ჩადენილ დანაშაულებს ახალს ნუ დავუმატებთ 175
ტრანსცენდენციები მოზღვავდა 179

5. გადანაწილება 183
შეუძლებელი მოდერნიზაცია 183
გადასასვლელი გამოცდა 186
ახლებურად განაწილებული ჰუმანიზმი 191
არამოდერნული კონსტიტუცია 196
ნივთთა პარლამენტი 201

ბიბლიოგრაფია 206

ელიზაბეტს და ლიუკს

1. კრიზისი

ჰიბრიდების გამრავლება და გავრცელება

ჩემი ყოველდღიური გაზეთის მეოთხე გვერდზე ვკითხულობ, რომ ანტარქტიდის თავზე ჩასატარებელ ღონისძიებათა კამპანია წლეულს წახდენილა: ოზონის ფენაში ხვრელი საგანგაშოდ ფართოვდება. კითხვას ვაგრძელებ და მაღალი ატმოსფეროს ქიმიკოსებიდან ახლა „ატოშემისა“ და „მონსანტოს“ გენერალურ დირექტორებთან ვინაცვლებ, რომლებსაც, თურმე უკვე შეუტანიათ ცვლილებები თავიანთ საწარმოო ქსელში, რათა ეკოსფეროს მიმართ ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილი უცოდველი ქლოროფლუოკარბონატებისთვის მოენახათ ჩანაცვლება. რამდენიმე აბზაცით ქვემოთ ქიმიას, მაცივრებს, აეროზოლებსა და ინერტულ აირებს ამჯერად დიდი ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ხელმძღვანელი პირებიც შერევიან. და აჰა, სვეტის ბოლოს ახლა უკვე მეტეოროლოგები აღარ ეთანხმებიან ქიმიკოსებს და ციკლურ ფლუქტუაციებზე საუბრობენ. შედეგად, აღარც მწარმოებლებმა იციან რა იღონონ და ქვეყნის მეთაურებიც შეყოვნებულან. უნდა მოიცადონ? უკვე დაგვიანებული ხომ არ არის? ცოტა უფრო ქვევით მესამე სამყაროს ქვეყნები და ეკოლოგებიც ურთავენ თავიანთ ხმას სხვებისას და სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებზე, მომავალ თაობათა უფლებებზე, განვითარების უფლებასა და მორატორიუმებზე ლაპარაკობენ.

აი, ასე შეურევს ერთი და იგივე სტატია ქიმიურ რეაქციებს პოლიტიკურ გამოხმაურებებში. ერთი ძაფითაა გადაბმული ყველაზე უფრო ეზოთერული მეცნიერება და უკიდურესად მდაბიო პოლიტიკა; ყველაზე უფრო შორეული ცის კამარა და ლიონის გარეუბანში მდებარე კონკრეტული ფაბრიკა; ყველაზე უფრო გლობალური საშიშროება და მოახლოებული არჩევნები თუ წარმოების ხელმძღვანელთა უახლოესი თათბირი. არათანაზომადია მასშტაბები, ამოცანები, ვადები, მოქმედი პირები, არადა, აჰა, ერთსა და იმავე ამბავში ყოფილან გახვეულნი.

ამავე ყოველდღიური გაზეთის მეექვსე გვერდზე ვკითხულობ, რომ შიდსის პარიზულ ვირუსს პროფესორ გალოს ლაბორატორიის ვირუსი დაუინფიცირებია; რომ, მიუხედავად ამისა, ბატონ შირაკსა და ბატონ რეიგანს მაინც საზეიმოდ დაუდიათ იმის ფიცი, რომ ამ აღმოჩენის ისტორიას არასოდეს დააყენებენ ეჭვქვეშ; რომ ქიმიური მწარმოებლები იმ მედიკამენტების ბაზარზე ჩაშვებას აჭიანურებენ, რომლებსაც მებრძოლ ასოციაციებად ორგანიზებული ავადმყოფები გამყივანი ხმით ითხოვენ; რომ სუბსაჰარულ აფრიკაში ეპიდემია იკიდებს ფეხს. კვლავაც ერთ საეჭვო ამბავში გახვეულან გვირგვინოსანი თავები, ქიმიკოსები, ბიოლოგები, იმედგადაწურული ავადმყოფები და მწარმოებლები.

მერვე გვერდზე კომპიუტერებსა და იაპონელების მიერ კონტროლირებულ ჩიპებზე წერენ; მეცხრე გვერდზე – გაყინულ ემბრიონებზე; მეათეზე – ცეცხლმოდებულ ტყეზე, რომლის კვამლში გახვეული იშვიათი სახეობების გადასარჩენადაც ბუნებისდამცველები დარაზმულან; მეთერთმეტე გვერდი ვეშაპების შესახებ მოგვითხრობს, რომელთათვისაც რადიოლოკაციური გადამცემით აღჭურვილი ყელსაბამები შეუბამთ; ამავე, მეთერთმეტე გვერდზე საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარე ერთ მიწაყრილს, მუშათა ჩაგვრის სიმბოლოს ვხვდებით, რომელიც მასზე განვითარებული იშვიათი ფლორის გამო ეკოლოგიურ ნაკრძალთა რიცხვში შეუტანიათ; მეთორმეტე გვერდზე პაპს, ეპისკოპოსებს, რუსელ-უკლაფს, ფალოპის მილსა და ტექსასელ ფუნდამენტალისტებს უცნაურ რაზმად შემოურტყამთ წრე ეული კონტრაცეპტივისთვის. მეთოთხმეტე გვერდზე მაღალი გარჩევადობის ტელევიზიის ხაზების რიცხვი აკავშირებს ბატონ დელორს, თომსონს, ევროპის ეკონომიკურ ერთობას, სტანდარტიზაციის კომისიას, იაპონელებსა და ტელეფილმთა მწარმოებლებს. საკმარისია ეკრანის სტანდარტი რამდენიმე ხაზით შეიცვალოს, რომ მილიარდობით ფრანკი, მილიონობით ტელევიზორი, ტელეფილმთა ათასობით საათი, ასობით ინჟინერი და ათობით გენერალური დირექტორი ერთ ფერხულში ჩაებას.

საბედნიეროდ, გაზეთში რამდენიმე სულის მოსათქმელი გვერდიც მოიპოვება, სადაც ლაპარაკია წმინდაწყლის პოლიტიკაზე (რადიკალური პარტიის რაღაც ყრილობაზე) და წიგნთა მიმოხილვის ჩანართიცაა წარმოდგენილი, სადაც რომანები გვიამბობენ სიღრმისეული მეს ამაღელვებელ თავგადასავლებს (je t'aime,

moi non plus). ეს მოსწორებული გვერდები რომ არა, ნამდვილად თავბრუ დაგვეხვეოდა. სულ უფრო მრავლდება ეს ჰიბრიდული სტატიები, რომლებიც მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, რელიგიის, ტექნიკისა და მხატვრული ლიტერატურის ხლართებს აღწერენ. თუ მოდერნის ადამიანის დილის ლოცვა მართლაც ყოველდღიური გაზეთის კითხვაა, მაშინ, დღეს, ამ ჩახლართული ამბებით მლოცველი ეს ადამიანი ძალიან უცნაური ვინმე უნდა იყოს. ყოველდღიურად მთელი კულტურა და მთელი ბუნება იზილება ერთმანეთში.

არადა ამით შეწუხებული არავინ ჩანს. რუბრიკები „ეკონომიკა", „პოლიტიკა", „მეცნიერება", „წიგნები", „კულტურა", „რელიგია" და „სხვადასხვა ამბები" ისე ინაწილებენ გაზეთის მაკეტს, ვითომც აქ არაფერი. შიდსის პაწაწინა ვირუსი წინამძღოლობას გაგიწევთ და სექსიდან არაცნობიერისკენ გადაგიყვანთ; შემდეგ, აფრიკისა და უჯრედთა კულტურებისკენ, დიზოქსირიბონუკლეინის მჟავისკენ და სან ფრანცისკოსკენაც გაგიძღვებათ; ანალიტიკოსები, მოაზროვნეები, ჟურნალისტები და გადაწყვეტილების მიმღებები კი ამ ვირუსის მიერ დახაზულ ფაქიზ ქსელს თავ-თავიანთ მომცრო დანაყოფებად დაგიჭრიან, სადაც მხოლოდ მეცნიერებას, მხოლოდ ეკონომიკას, მხოლოდ სოციალურ წარმოდგენებს, მხოლოდ სხვადასხვა ფაქტებს, მხოლოდ საცოდაობას, მხოლოდ სექსს იპოვით. დააჭირეთ თითი რამე უცოდველ აეროზოლს და მაშინვე ანტარქტიდისკენ აიღებთ გეზს, იქიდან კი კალიფორნიის ირვინის უნივერსიტეტისკენ, ლიონის მთაგრეხილისკენ, ინერტულ აირთა ქიმიისკენ, შემდეგ კი, შესაძლოა, გაეროსკენაც გაემართოთ, მაგრამ ეს ფაქიზი ძაფი იმდენ მონაკვეთად გაწყდება, რამდენი წმინდა დისციპლინაც არსებობს: ნუ ავურევთ ერთმანეთში შემეცნებას, ინტერესს, სამართლიანობასა და ძალაუფლებას. ნუ ავურევთ ერთმანეთში ცასა და დედამიწას, გლობალურსა და ლოკალურს, ადამიანურსა და არაადამიანურს. „განა ეს ხლართები არაა, ჩვენს სამყაროს რომ ქსოვენ?" – იტყვით თქვენ. „დაივიწყეთ! თითქოს არც არსებულან" – გიპასუხებენ ანალიტიკოსები. მათ სათანადოდ ალესილი ხმლით გადაჭრეს გორდიას კვანძი. საჭე გატყდა: მარცხნივ საგანთა შემეცნება მოექცა, მარჯვნივ კი ადამიანთა ინტერესი, ძალაუფლება და პოლიტიკა.

გორდიას კვანძის ხელახლა გადასკვნა

აგერ უკვე ოცი წელი იქნება, რაც მე და ჩემი მეგობრები ამ უცნაურ მდგომარეობებს ვიკვლევთ, რომელთათვისაც ადგილი ვერ მოუნახავს ინტელექტუალურ კულტურას, რომელში ცხოვრებაც გვიწევს. რადგან სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ჩვენც სოციოლოგებად, ისტორიკოსებად, ეკონომისტებად, პოლიტოლოგებად, ფილოსოფოსებად და ანთროპოლოგებად ვიწოდებით. ოღონდ ამ საპატივცემულო დისციპლინებს ყოველთვის ვუმატებთ მიცემით ბრუნვაში განსაზღვრებას „მეცნიერებათა და ტექნიკის". ამის ინგლისური შესატყვისია science studies, ან ზედმეტად მძიმე სიტყვათშეთანხმება „მეცნიერებები, ტექნიკა, საზოგადოებები." როგორიც არ უნდა იყოს იარლიყი, საქმე მუდამ ერთ რამეს ეხება: კვლავ გადაისკვნას გორდიას კვანძი და ამისათვის რამდენჯერაც საჭიროა იმდენჯერ დაიძლიოს წყვეტა, რომელიც ზუსტ შემეცნებასა და ძალაუფლებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებასა და კულტურას მიჯნავს. ჩვენ, თვითონაც ჰიბრიდებმა, გარდიგარდმო რომ მოვკალათებულვართ სამეცნიერო ინსტიტუციებში, ნახევრად-ინჟინრებმა, ნახევრად-ფილოსოფოსებმა, უნებლიედ განზე მდგომმა სწავლულებმა გადავწყვიტეთ, რომ ეს ხლართები აღვწეროთ და სადაც არ უნდა მივყავდეთ, ბოლომდე მივდიოთ მათ. ხომალდად თარგმნის ან ქსელის ცნება გამოგვადგება, რომელიც სისტემის ცნებაზე უფრო მოქნილი, სტრუქტურის ცნებაზე უფრო ისტორიული და კომპლექსურობის ცნებაზე უფრო ემპირიულია. ის არიადნეს ძაფივითაა ამ აღრეულ ამბებში.

თუმცა ამგვარ შრომებს სათანადო გაგებით არ ხვდებიან ხოლმე, რადგან, კრიტიკის ჩვეულ კატეგორიათა შესაბამისად, მათაც სამგვარად ანაწევრებენ. მათგან ან ბუნება გამოჰყავთ, ან პოლიტიკა, ან დისკურსი.

როცა მაკკენზი კონტინენტთაშორისი რაკეტების ინერციულ რეაქტორს აღწერს (MacKenzie 1990), როცა კალონი საწვავის ელემენტის ელექტროიდებს აღწერს (Callon 1989), როცა ჰიუგი აღწერს ედისონის გავარვარებულმავთულიან ნათურას (Hughes 1983a), როცა მე თვითონ ბაქტერია ანტრაქსს აღვწერ, რომლის მოქმედებაც პასტერმა შეანელა (Latour 1984), ან კიდევ გილემანისეულ ტვინის პეპტიდებს (Latour 1988a), კრიტიკოსებს ჰგონიათ,